ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. zogadi debulebani

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს „შრომის კანონთა კოდექსის“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დებულება განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. adamianuri resursebis marTvis ganyofilebis funqciebi

განყოფილება აწარმოებს:

- აკადემიური;
- სასწავლო-დამხმარე;
- ადმინისტრაციული;
- სამეურნეო;
- სამეცნიერო;

პერსონალის მართვას. აქედან გამომდინარე:

- მიღება-განთავისუფლების;
- თანამდებობრივი გადაადგილების;
- შვებულებების;
- შრომის უუნარობის ფურცლების;
- დეკრეტების;
- გრანტების ბრძანებების;
- პერსონალურად თითოეული თანამშრომლის პირადი საქმეების;
- შრომის წიგნაკების;
- ტიპიური ფორმა ორის წარმოებას;
- ბრძანებების ასლების დაგზავნას შესაბამის სტრუქტურებში;

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემას;
- ცნობების გაცემას;
- პირადი ბარათებისა და ბრძანებების კომპიუტერული ვერსიის შექმნას;
- დაჯილდოებას;
- საყვედურებს;
- პენსიაზე და სტიპენდიაზე გამსვლელთა საბუთების მომზადებას;
- ბრძანებების რეგისტრაციას და გატარებას შესაბამის რეესტრში;
- ყველა სახის სტატისტიკური მონაცემების შევსებას.

3. ganyofilebis struqtura

განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი;

განყოფილებაში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.

განყოფილების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტუ-ს რექტორი.

განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. daskvniTi debulebebi

დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

4.2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.